

გოდერძი შანიძე

ბიზნესისა და მართვის დოქტორი,

ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობის უპირატესობები

მაღალგანვითარებული ქვეყნების თანამედროვე პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს საკმარისად ძლიერი გავლენა აქვს ბიზნესზე.

სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკის „რაციონალური მარეგულირებელი“, როლი უმნიშვნელოვანესია. სწორედ რეგულირების ხარისხის ოპტიმალური დონის განსაზღვრა არის უმთავრესი ამოცანა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად წყდება ტრადიციების, განვითარების დონის, პოლიტიკური კლიმატისა და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით. ამავე დროს, ზედმეტი რეგულირება უარყოფით შედეგს იძლევა და ამისი უამრავი მაგალითია.

სახელმწიფოს ფუნქცია არის ბაზარზე თამაშის წესების შექმნა, მათ შესრულებაზე ზედამხედველობა, საზოგადოებრივი შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა (ეკონომიკური ზრდა, ინფლაციის შემცირება, უმუშევრობა).

სახელმწიფო და ბიზნესი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული სისტემებია. სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობის ხასიათი შეიძლება განისაზღვროს, როგორც პარტნიორული. ამ ურთიერთობების ამგვარი ხასიათი ზღუდავს ორივე მხარის თავისუფლებას. სახელმწიფო, რომელიც არ უშვებს თავისუფალ მეწარმეობას, განწირულია ასევე განწირულია სამეწარმეო სუბიექტი, რომელიც არ ცნობს სახელმწიფოს. არავინ იცის, რა არის უფრო საშიში – ბრძოლა ბიზნესის თავისუფლების წინააღმდეგ თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ. სახელმწიფო რეგულირებაში კი ზღვარი უდაოდ უნდა იყოს.

ბიზნესი, მართალია, თავისუფალი უნდა იყოს გადაწყვეტილებების მიღებისას, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული ნორმების გათვალისწინებით. ასევე სახელმწიფოც არ შეიძლება სრულიად თავისუფალი იყოს თავის გადაწყვეტილებებში.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არის სპეციალური დაწესებულებები, რომლებიც სხვადასხვაგვარად იწოდებიან სხვადასხვა ქვეყნებში (ფასების ოფისი, ვაჭრობაზე კონტროლის სამსახური, კონკურენციის კომიტეტი), მაგრამ ასრულებენ ერთსა და იმავე ფუნქციას – ზედამხედველობას უწევენ შიდა ბაზარს. სახელმწიფო ორგანოები თავისი კომპეტენციის ფარგლებში ერევიან ნებისმიერ კომერციულ საქმიანობაში. სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციაში შედის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია – მინიმალური ხელფასის დონის კონტროლი.

აშშ-ში არსებობს ბიზნესის მძლავრი რეგულირების სისტემა, რომელიც არეგულირებს მეწარმეობას: სამომხმარებლო საქონლის უსაფრთხოების კომისია, სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის რეგულირების კომისია, კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების კომისია, ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია, შრომითი ურთიერთობების ნაციონალური საბჭო, სოციალური დაცვის უწყება, თანაბარი დასაქმების ხელშეწყობის კომისია, პროფესიული უსაფრთხოების უწყება, საპენსიო დაგეგმვის უწყება, გარემოს დაცვის უწყება, ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და დამუშავების უწყება და სხვა.

70-იანი წლების ბოლოს გაერო მივიდა დასკვნამდე, რომ აუცილებელია საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესის რეგულირება. გაერო თავისი მოთხოვნებითა და რეკომენდაციებით მიმართავს არა მარტო კორპორაციებსა და სახელმწიფოებს, არამედ განსაზღვრავს საერთაშორისო დონისძიებებს, რომელთა შესრულებასაც აკისრებს თავის თავს.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ბიზნესს შორის აქტიური ურთიერთქმედებაა. ამ ურთიერთქმედებამ თავისი ინსტიტუციონალიზების პროცესში შეიძინა სახელმწიფოსა და კერძო მეწარმეების პარტნიორობის ხასიათი და მიიღო სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის სახელწოდება.

საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობის ინიციატივები ბიზნესის ხელშესაწყობად, მაგალითად ერთ-ერთი ის, რომ ვინც ქობულეთში „ფიჭვნარში“ ააშენებს სასტუმროს, მომდევნო 15 წლის განმავლობაში განთავისუფლდება ქონებისა და მოგების გადასახადისაგან, ამ ნაბიჯით სახელმწიფომ სტიმული მისცა ბიზნესის განვითარებას.

ჩვენთან ჯერ კიდევ სახელმწიფოს რიგ შემთხვევებში უყურებენ, როგორც დამსჯელს და თავს არიდებენ მასთან ურთოერთობას, არადა სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის სწორედ, რომ კეთილდამოკიდებული ურთიერთობა უნდა იყოს, თუ გვინდა დადებითი შედეგი. ამისთვის შემხვედრი ნაბიჯები ორივე მხარემ უნდა გადაგდას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი დრმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციების პერიოდში. ბუნებრივია, სახელმწიფო განზე ვერ დარჩება ამ დროს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე რეფორმებისაგან.

ქვეყნების გამოცდილების განხილვისას აგრეთვე გასათვალისწინებელია პარამეტრები და თავისებურებები, მხედველობაში გვაქვს, ეროვნული მენტალიტეტი და პოლიტიკური კულტურის თავისებურებები.

უახლესი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ეროვნული სამართლებრივი სახელმწიფო გამოხატავს მთელი საზოგადოების ნებას. სახელმწიფო, რომ გამოხატავდეს მხოლოდ მსხვილი კორპორაციების ან მონოპოლიების ვიწრო ჯგუფის ეკონომიკური ინტერესებს ის იქნებოდა ოლიგარქიული ან ავტორიტარული მმართველობის ესა თუ ის ფორმა.

ვინაიდან სახელმწიფო, მოწოდებულია უზრუნველყოს მთელი საზოგადოების, მისი უკლებლივ ყველა მოქალაქის ინტერესები, გამოხატოს მოსახლეობის საყოველთაო ნება. ბუნებრივია ის შეიმუშავებს და განახორციელებს ისეთ პოლიტიკურ კურსს, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში ვერ დაემთხვევა ცალკეული ბიზნესმენების, კორპორაციებისა და თუნდაც ეკონომიკის მთელი დარგების ინტერესებს.

მეტიც, სახელმწიფო პოლიტიკას შეუძლია რადიკალური გავლენა მოახდინოს ამა თუ იმ ბიზნესის ან ეკონომიკის მთელი დარგების წარმატებასა თუ ჩავარდნაზე ან სულაც გააკოტროს ისინი. ამიტომ, მთავრობის ესა თუ ის ქმედებები მეწარმეთა და მათ ცალკეულ წარმომადგენელთა მიერ აღიქმება საკმაოდ მტრულად. ეს ბადებს ორმხრივ უნდობლობას. სწორედ სახელმწიფოა მოწოდებული უზრუნველყოს სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების გარანტია, მესაკუთრის უფლებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, საბაზრო კონკურენცია და არაკეთილსინდისიერი გამოვლინებების და არაკეთილსინდისიერი ბიზნესის აღკვეთა.

მაშასადამე, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელია სახელმწიფოსთან, მისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთქმედების ეფექტიანი მექანიზმის გარეშე. მეტიც, ასეთი მექანიზმი იქცა მაღალგანვითარებული დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ არსებით ნიშნად. და ეს გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკის ნორმალური და ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა უსაფრთხო სოციალურ-სამართლებრივი გარემო, პოლიტიკური სტაბილურობა და ყველა დაინტერესებული მხარისთვის მისაღები თამაშის წესები.

რეზიუმე

გოდერძი შანიძე

ბიზნესისა და მართვის დოქტორი,

ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობის უპირატესობები

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობის ხასიათი შეიძლება განისაზღვროს, როგორც პარტნიორული. ამ ურთიერთობების ამგვარი ხასიათი ზღუდავს ორივე მხარის თავისუფლებას. სახელმწიფო, რომელიც არ უშვებს თავისუფალ მეწარმეობას, განწირულია, ასევე განწირულია სამეწარმეო სუბიექტი, რომელიც არ ცნობს სახელმწიფოს.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ ეფექტური საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ბიზნესს შორის აქტიური ურთიერთქმედებაა.

ჩვენთან ჯერ კიდევ სახელმწიფოს რიგ შემთხვევებში უყურებენ, როგორც დამსჯელს და თავს არიდებენ მასთან ურთოებობას, არადა სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის სწორედ, რომ კეთილდამოკიდებული ურთიერთობა უნდა იყოს, თუ გვინდა დადებითი შედეგი. ამისთვის შემხვედრი ნაბიჯები ორივე მხარემ უნდა გადაგვას.

ბიზნესი, მართალია, თავისუფალი უნდა იყოს გადაწყვეტილებების მიღებისას, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული ნორმების გათვალისწინებით. ასევე სახელმწიფოც არ შეიძლება სრულიად თავისუფალი იყოს თავის გადაწყვეტილებებში, არამედ უნდა ითვალისწინებდეს იმასაც თუ რამდენად წაადგება ეს გადაწყვეტილებები ბიზნესის განვითარებას.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა წარმოდგენელია სახელმწიფოსთან, მისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთქმედების ეფექტიანი მექანიზმის გარეშე. მეტიც, ასეთი მექანიზმი იქცა მაღალგანვითარებული დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ არსებით ნიშნად. და ეს გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკის ნორმალური და ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა უსაფრთხო სოციალურ-სამართლებრივი გარემო, პოლიტიკური სტაბილურობა და ყველა დაინტერესებული მხარისთვის მისაღები თამაშის წესები.